# საქართველოს მთავრობის

**განკარგულება №305**

**2014 წლის 20 თებერვალი**

**ქ. თბილისი**

## საქართველოს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების $7^4$ მუხლის საფუძველზე, ინფრასტრუქტურული პროექტების (ნაპირსამაგრი სამუშაოები, გზების აღდგენა-რეაბილიტაცია, საავტომობილო ხიდის აღდგენა) შეუფერხებლად განსახორციელებლად, ლენტეხის, ცაგერის, მარტვილისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები (შემდგომში - მუნიციპალიტეტები), სამი თვის ვადით გათავისუფლდნენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან, შემდეგი კოორდინატების ფარგლებში:

ა) ლენტეხის მუნიციპალიტეტი - ქვიშაქვა, 2800 მ³:

| | X | Y |
|---|---|---|
| | 313601 | 4738198 |
| | 313635 | 4738194 |
| | 313646 | 4738198 |
| | 313637 | 4738177 |
| | 313630 | 4738182 |
| | 313612 | 4738180 |
| | 313591 | 4738186 |
| S = 0,07 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

ბ) ცაგერის მუნიციპალიტეტი - კირქვის ღორღი, 5 000 მ³:

| | X | Y |
|---|---|---|
| | 310649 | 4714728 |
| | 310720 | 4714745 |
| | 310790 | 4714660 |
| | 310805 | 4714633 |

| |
|---|
| S = 0,50 ჰა |
| WGS 1984 |

გ) მარტვილის მუნიციპალიტეტი:

გ.ა) ქვიშა-ხრეში - 5680 მ³:

| | X | Y |
|---|---|---|
| | 284724 | 4706345 |
| 2 | 284732 | 4706291 |
| 3 | 284617 | 4706245 |
| 4 | 284610 | 4706290 |
| S = 0,60 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

გ.ბ) ლოდნარი - 1300მ³:

| | X | Y |
|---|---|---|
| | 285739 | 4706740 |
| 2 | 285427 | 4706607 |
| 3 | 285368 | 4706843 |
| 4 | 285666 | 4706808 |
| 5 | 285806 | 4706847 |
| S = 5,57 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

დ) გურჯაანის მუნიციპალიტეტი:

დ.ა) ქვიშა-ხრეში - 1800 მ³:

| N | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 5601<br>24 | 4614142 |
| 2 | 5601<br>07 | 4614131 |

| | | |
|---|---|---|
| 3 | 560065 | 4614165 |
| 4 | 560047 | 4614212 |
| 5 | 560073 | 4614196 |
| S=0.2 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

დ.ბ) ქვიშა-ხრეში - 1200 მ$^3$:

| N | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 560066 | 4613591 |
| 2 | 560075 | 4613597 |
| 3 | 560068 | 4613606 |
| 4 | 560063 | 4613641 |
| 5 | 560040 | 4613665 |
| 6 | 560030 | 4613664 |
| 7 | 560052 | 4613643 |
| 8 | 560046 | 4613591 |
| S=0.12 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

დ.გ) ქვიშა-ხრეში - 3300 მ$^3$:

| N | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 563415 | 4612567 |
| 2 | 563447 | 4612536 |
| 3 | 563448 | 4612531 |
| 4 | 563461 | 4612509 |
| 5 | 563450 | 4612494 |
| 6 | 563411 | 4612435 |
| S=0,33 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

2. მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობების შესრულება.

3. მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენონ მხოლოდ შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

4. დადგინდეს მუნიციპალიტეტების მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისთვის გადასახდელი თანხა, შემდეგი ოდენობით:

ა) ლენტეხის მუნიციპალიტეტი - 487 ლარი (ქვიშაქვა - 2 800 მ$^3$);

ბ) ცაგერის მუნიციპალიტეტი - 1000 ლარი (კირქვის ღორღი - 5 000 მ$^3$);

გ) მარტვილის მუნიციპალიტეტი:

გ.ა) 966 ლარი (ქვიშა-ხრეში - 5680 მ$^3$);

გ.ბ) 221 ლარი (ლოდნარი - 1300მ$^3$).

დ) გურჯაანის მუნიციპალიტეტი:

დ.ა) 313 ლარი (ქვიშა-ხრეში - 1800 მ$^3$);

დ.ბ) 209 ლარი (ქვიშა-ხრეში - 1200 მ$^3$);

დ.გ) 574 ლარი (ქვიშა-ხრეში - 3300 მ$^3$).

5. მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ამ განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა, განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

6. მუნიციპალიტეტებმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (შემდგომში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) წარადგინონ ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

7. მუნიციპალიტეტების მიერ ლიცენზიისგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

**პრემიერ-მინისტრი** **ი. ღარიბაშვილი**